



სასწავლო პროგრამა „სამოქალაქო ლიდერობა“

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) დაინტერესებულ პირებს იწვევს სასერთიფიკაციო სასწავლო პროგრამაზე „სამოქალაქო ლიდერობა“.

სასწავლო პროგრამა დასწრებული და დისტანციური სწავლების კომბინაციაა და ოთხი მოდულისგან შედგება:

- სამოქალაქო ლიდერობა;
- ეფექტიანი კომუნიკაცია და ჩართულობა;
- პროექტის მართვა;
- ფონდების მოძიება.

სასწავლო პროგრამა მომზადდა და ტარდება „კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის“ (CTC) მიერ ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

ინფორმაცია სასწავლო პროგრამის შესახებ:

პროგრამა განკუთვნილია ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების წევრებისთვის, აქტივისტებისთვის, მოხალისეებისთვის და იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურს საკუთარ თემში ან რეგიონში დადებითი ცვლილების განხორციელება.

სასწავლო პროგრამის გაგლის შემდეგ მონაწილეები შეძლებენ:

- მოძებნონ და ითანამშრომლონ თანამოაზრეებთან თავიანთ თემსა და/ან რეგიონში
- წარმატებით გაუძღვნენ სათემო პროექტებს, ინიციატივებსა თუ კამპანიებს



- მოიძიონ რესურსები სამოქალაქო და სათემო ინიციატივების განსახორციელებლად
- მოიზიდონ მხარდამჭერები სამოქალაქო და სათემო პროექტებისა და კამპანიებისთვის
- შეძლონ ეფექტიანი კომუნიკაცია და თანამშრომლობა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლებთან.

რეგისტრაცია და თარიღები:

- სასწავლო პროგრამაზე რეგისტრაციის ბოლო ვადაა 10 აპრილი, 2019წ. რეგისტრაციისათვის ეწვიეთ ბმულს <http://bit.do/clc4>
- დისტანციური სწავლების ფაზაა 12.04.2019-დან 30.04.2019-მდე.
- დასწრებული მეცადინეობები გაიმართება:

ეტაპები	მონაწილეებისთვის აღმოსავლეთ საქართველოდან	მონაწილეებისთვის დასავლეთ საქართველოდან
I ეტაპი (2 მოდული)	04-08 მაისი, 2019წ.	11-15 მაისი, 2019წ.
II ეტაპი (2 მოდული)	18-22 მაისი, 2019 წ.	23 -27 მაისი, 2019წ.

პირველ ეტაპზე შეჩვენულ აპლიკანტებთან მოხდება წინასწარი გასაუბრება.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში: +995 32 220 67 74; +995 32 220 67 75, +995 591 400 630, ან მოგვწერეთ: info@ctc.org.ge



კურსის თემატიკა

პროექტის მართვა

განვითარების პროექტის კონცეფცია

- რა არის განვითარება
- პროექტების მართვა
- პროექტის სახეები
- განვითარების პროგრამა
- განვითარების პროექტების სირთულეები, თავისებურებები და ენა

განვითარების პროექტის შემუშავების სხვადასხვა მიდგომა

- ლოგიკური ჩარჩო
- მიზანზე ორიენტირებული პროექტის დაგეგმვა
- შედეგზე ორიენტირებული პროექტის მართვა
- პროექტის ციკლის მართვა

დაინტერესებულ პირები

- დაინტერესებული პირების განმარტება
- დაინტერესებული პირების ანალიზი
- ინფორმაციის მოპოვება
- კითხვები დაინტერესებული პირების მიმართ
- დაინტერესებული პირების რუკა და შეფასება
- როგორ უნდა ჩაერთონ დაინტერესებული პირები პროექტის სხვადასხვა ეტაპზე

გენდერის გათვალისწინება პროექტებში

- პრობლემების ანალიზი
- განმარტება
- პრობლემათა სახეები
- პრობლემის ანალიზის ნაბიჯები

შედეგის კარტოგრაფირება - მიზნების ანალიზი

- ხედვა
- შედეგების კარტოგრაფირების განმარტება
- ცვლილების თეორია



გადაწყვეტილების მეთოდები განვითარების პროექტებში

რისკები ანალიზი და დაშვების ფორმულირება

- რისკის განმარტება
- რისკის შეფასება
- დაშვების ფორმულირება
- „ზიგზაგის“ ლოგიკა

პროგრესის შეფასების საშუალებები დაგეგმვის დროს

- ობიექტურად გაზომვადი ინდიკატორის განმარტება
- ინდიკატორის ელემენტები
- შედეგების რუკა და ინდიკატორები
- ინდიკატორების სახეები
- SMART პრინციპი

ლოგიკური ჩარჩოს შემუშავება

- ლოგიკური ჩარჩოს პირველი და მეოთხე სვეტი
- ლოგიკური ჩარჩოს მეორე და მესამე სვეტი

საქმიანობის გეგმა

- საქმიანობათა განრიგი
- განმეორებადი სამუშაო პროცესის მართვა
- რესურსების ალოკაცია

პროექტის ბიუჯეტი

- ბიუჯეტის შედგენა

პროექტის მონიტორინგი

- განმარტება
- მონიტორინგის სისტემის შექმნა
- დანახარჯი მონიტორინგის სისტემაზე
- მონიტორინგის სისტემის რისკი

თანამონაწილეობა და კომუნიკაცია



კომუნიკაცია

საზოგადოებრივი ჯგუფების მონაწილეობა სამოქალაქო ინიციატივებში

- საზოგადოებრივი ჩართულობის მნიშვნელობა
- ინფორმაციის გაცვლებისა და კომუნიკაციის მნიშვნელობა

კომუნიკაციის სტრატეგია, მიზნები, ამოცანები და შედეგი

- ორგანიზაციის/იდეის/ქცევის პოზიციონირება
- კომუნიკაციის სტრატეგიის მიზნები და ამოცანები
- შედეგების სახაზავი

მიზნობრივი ჯგუფების ანალიზი და სეგმენტაცია

- სეგმენტაციის მნიშვნელობა
- სეგმენტაციის მეთოდოლოგია
- მიზნობრივი ჯგუფების ანალიზი
- განსაკუთრებული ზეგავლენის ჯგუფები- აზრთა ლიდერები

საზოგადოებასთან ურთიერთობა

- საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელობა
- გზავნილი
- კრეატიული ჩარჩო

საინფორმაციო არხები - მედია

- ტრადიციული მედია საშუალებების მნიშვნელობა და ფორმატი
- მედიასთან ურთიერთობა და ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის მიწოდება
- მედიასთან ურთიერთობა ღონისძიებების (საინფორმაციო საბაბების) ორგანიზებისას

საინფორმაციო არხები - სოციალური მედია

- სოციალური პლატფორმების მიმოხილვა
- ონლაინ საინფორმაციო სააგენტოები
- ბლოგერები და ბლოგინგი

პირდაპირი კომუნიკაცია და მოლაპარაკების ტექნიკები

- პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებები
- მოლაპარაკებები და დარწმუნების ტექნიკები
- მოლაპარაკების უნარები

საჯარო გამოსვლა და ინტერვიუები

- საჯარო გამოსვლა
- ინტერვიუ მედიასთან



რეკლამა

- რეკლამის ტიპები
- რეკლამის დაგეგმვა და მისი ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტები

კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების ინოვაციური ტექნოლოგიები

- ირიბი პოზიციონირება
- საზოგადოებრივი აზრის მართვის რამდენიმე მეთოდი
- აუდიო ზეგავლენა (აუდიო PR)

იმიჯის ფორმირება და ბრენდირება

- იმიჯის ფორმირების მნიშვნელობა
- იმიჯის ფორმირებისა და ბრენდირების ტექნოლოგიები

ფონდების მოძიება

ფონდების მოძიების კონცეფცია

- თანხების მოძიების შესაძლებლობები

ფონდების მოძიების კონცეპტუალური მოდელი

- დაფინანსების ბაზრის ანალიზი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში
- დაფინანსების ბაზრის ანალიზი განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში

დაფინანსების წყაროები და ფონდების მოძიების გზები

- ორგანიზაციული მდგრადობა
- ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა

ფონდების მოძიების სტრატეგია

- დაგეგმარება და პრიორიტეტების განსაზღვრა
- ბიუჯეტირება
- გამჭვირვალე ფინანსური სისტემა
- ორგანიზაციის იმიჯი
- ორგანიზაციის ფასეულობათა სისტემა და ბრენდირება

მცირე ზომის შემოწირულობა (Crowdfunding)

- მცირე ზომის შემოწირულობების მიმართულებების განსაზღვრა



ვინ არის მცირე ზომის კონტრიბუტორი

- მცირე კონტრიბუტორების ანალიზი და იდენტიფიკაცია
- კომუნიკაციის მიზნების განსაზღვრა
- მცირე ზომის კონტრიბუტორთა მოლოდინებისა და მოტივაციის განსაზღვრა

კომუნიკაცია სამიზნე ჯგუფებთან

- გზავნილის განსაზღვრა
- საინფორმაციო არხების განსაზღვრა
- ფონდების მოძიება ღონისძიებების საშუალებით

შემოწირულობის პროცესი და ანგარიშგება

- შემოწირულობის განხორციელების გზები
- კონტრიბუტორთა წინაშე ანგარიშგების პროცესი
- კამპანიის ეფექტიანობის შეფასება

დიდი ზომის შემოწირულობა - მსხვილ კონტრიბუტორთა ანალიზი

- მსხვილ კონტრიბუტორებთან მუშაობის სპეციფიკა
- მსხვილ კონტრიბუტორთა კარტოგრაფირება და ანალიზი
- მსხვილ კონტრიბუტორთა მოტივაცია და პრიორიტეტი
- კომუნიკაცია მსხვილ კონტრიბუტორებთან
- მოლაპარაკებისა და დარწმუნების ტექნიკები

ანგარიშგება



ლიდერობა

ცვლილება და საზოგადოების ტრანსფორმაცია განვითარებისათვის

- სოციალური განვითარების მთავარი პრინციპები
- ცვლილების მართვა
- ცვლილებაზე წინააღმდეგობის წარმოშობის მიზეზები

ლიდერობა; სამოქალაქო ლიდერის როლი ცვლილებისა და განვითარების პროცესში

- რა არის ლიდერობა?
- როგორ განიხილება ლიდერობა სხვადასხვა თეორიაში?

ლიდერის როლი გაზიარებული ხედვის და მიზნების ფორმირებაში

- ლიდერობა და ხედვის ფორმირება - ძირითადი პრინციპები
- მიზნების განსაზღვრა
- ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი